

სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2019-2020 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან გარე მობილობის შესახებ

სსიპ- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2019-2020 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველებმა, სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის პორტალზე რეგისტრაციის შემდეგ (2020 წლის 22 იანვრიდან 5 თებერვლის ჩათვლით) საბუთები გამომშვები სასწავლებლიდან უნდა წარმოადგინონ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2020 წლის 11 თებერვლიდან 17 თებერვლის ჩათვლით. საბუთები მიიღება 10⁰⁰ საათიდან 16⁰⁰ საათამდე შაბათ-კვირის გარდა (თბილისი, კოსტავას 77, ადმინისტრაციული კორპუსი; ოთახი N350);

მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1. პირადობის მოწმობის ასლი;
 2. სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი) დამოწმებული ბეჭდით;
 3. ბაკალავრმა - საშუალო განათლების ატესტატის ასლი,
მაგისტრანტმა - წინა საფეხურის დიპლომის ასლი;
 4. პირად საქმეში არსებული ყველა ბრძანების (პირველადი ჩარიცხვის; სტატუსის შეჩერების/ აღდგენის/ შეწყვეტის) დამოწმებული ასლები
 5. უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში);
 6. სამხედრო მიწერის მოწმობის ასლი (ვაჟებისათვის).
- მობილობის მსურველი, რომელიც დადგენილ ვადაში არ მიმართავს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს განცხადებით და საჭირო თანდართული დოკუმენტაციით, კარგავს აღნიშნულ ფაკულტეტზე/პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას. (17 თებერვლის შემდეგ საბუთები აღარ მიიღება)
- მობილობის მსურველმა, რომელიც გაეცნობა შედარების აქტს და წერილობით თანხმობას განაცხადებს სტუ-ში მობილობით გადმოსვლაზე ადმინისტრაციული და ფინანსური ხელშეკრულების გასაფორმებლად უნდა წარმოადგინოს ერთი წლის სწავლის საფასურის, მინიმუმ 1/2-ის (1125ლარი) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- საბუთები მიიღება პირადად განმცხადებელისგან, ან მისი ნდობით აღჭურვილი პირისაგან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობის წარმოდგენის შემთხვევაში.